ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1616958

ნომერი: AR1266425

თარიღი : 17.11.2014

გაცემის თარიღი : 28.11.2014

გაცნობის თარიღი : 01.12.2014

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , რკინიგზის სადგურ , "ლილო"-ს მიმდებარედ , (ნაკვეთი 05/049) ; null;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დიმიტრი სალთხუციშვილი პ/ნ 12001010614
- თბილისი ვაზისუბნის IV მ/რ I კვ. კორ. 14 ბ. 105

ორგანიზაცია:

- სს მარტ ჯგუფი კოდი: 406119579

ნომენკლატურა :

- ქალაქგეგმარება
- ქალაქგეგმარებითი დასკვნა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, "დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 08 ივლისის N1-1/1254 ბრძანების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის

05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი AR1266425 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქალაქგეგმარებით დასკვნას მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: #01.19.15.005.049) მისასვლელი სამანქანო გზის მოწყობასთან დაკავშირებით. პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

არქიტექტურის სამსახური, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, არ არის წინააღმდეგი თქვენს მიერ დანართის სახით წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მოეწყოს მოასფალტებული სამანქანო გზა. თუმცა, საბოლოო თანხმობის მოსაპოვებლად, საჭიროა წარმოადგინოთ მომიჯნავე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: #01.19.15.005.039) მესაკუთრის, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოსა და საქართველოს რკინიგზის თანხმობები აღნიშნული ტერიტორიის მოასფალტების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.